საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუბა

ბუბა, მწვერვალი ონის მუნიციპალიტეტში, რაჭის კავკასიონის მთავარ ქედზე, მამისონის უღელტეხილის ჩრდ.-დას-ით. სიმაღლე 4419 მ. აგებულია პალეოზოური კრისტ. ქანებით, უმთავრესად გრანიტოიდებით. აქვს კლდოვანი და მყინვარული რელიეფი.

ბუბაზეა მყინვარები: ბუბა, თბილისასწვერი და სხვ., საიდანაც სათავეს იღებს მდ. ბუბის (ჭანჭახის მარჯვ. შენაკადი) მრავალი შენაკადი. ბ-ის ქვემო კალთები შემოსილია ალპ. მდელოებით.

ა. ტერელაძე